ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №658717

ნომერი: AR1127120

თარიღი : 23.04.2013

გაცემის თარიღი : 07.05.2013

გაცნობის თარიღი : 07.05.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი წერეთლის , N 3 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი წერეთლის , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ჯავახიშვილი პ/ნ 01030008326
- თბილისი ი.მიჩურინის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით #01.14.07.010.007 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით

მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1 (სსზ–1)–ში რომელიც ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ ზონას, მათ შორის კარკასს, განაშენიანების დომინირებულ სახეობის გარეშე (შერეული ზონა)
ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტია კ–1=0.7;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტია კ–2=3.5;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტია კ–3=0.1.

რადგან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აპირებთ არსებული შენობის ტექნიკური სართულის რეკონსტრუქცია და სიმაღლის აწევა სრულ სართულამდე, შესაბამისი განაცხადი და პროექტი უნდა აიტვირთოს www.tas.ge-ზე მშენებლობის ნებართვის შესაბამის ველში, რადგან შენობის რეკონსტრუქცია–დაშენება არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.